

სასერტიფიკატო კურსზე სწავლების დებულება

დამტკიცებული რექტორის საბჭოს 2023 წლის 17 ივლისის N 24/23 ოქმით

მუხლი 1. რეგულირების სფერო

წინამდებარე დებულება არეგულირებს საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ორგანიზებულ/თანაორგანიზებულ სასერტიფიკატო კურსზე მსმენელის მიღებასთან, სწავლებასთან და სერტიფიკატის გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

მუხლი 2. მსმენელის მიღების წინაპირობები

1. სასერტიფიკატო კურსზე რეგისტრაციის მიზნით გამოიცემა რექტორის ბრძანება, რომლითაც განისაზღვრება კურსზე მიღების წინაპირობები.
2. სასერტიფიკატო კურსზე მსმენელის მიღება ხორციელდება კურსის ორგანიზატორის (შემდგომში „ორგანიზატორი“) მიერ დადგენილი კრიტერიუმების დაკმაყოფილების და სარეგისტრაციო დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე.
3. სარეგისტრაციო დოკუმენტების წარმოდგენის მიზნით მსმენელი ვალდებულია შეავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე მითითებული ელექტრონული განაცხადი, წარმოადგინოს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები და გააფორმოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან. წარმოსადგენი დოკუმენტაციაა:
 - პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
 - ფოტოსურათი (3X4)
 - სწავლის საფასურის არანაკლებ ¼-ის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი
 - სასერტიფიკატო კურსის ორგანიზატორის მიერ დადგენილი სხვა დოკუმენტები.
4. სარეგისტრაციო დოკუმენტები მოწოდებულ უნდა იქნეს ასევე ელექტრონულად -CD დისკზე, JPG ფორმატით.
5. სარეგისტრაციო დოკუმენტები ინახება ელექტრონულად მსმენელის პირად საქმეში.

მუხლი 3. ხელშეკრულების გაფორმება და სწავლის საფასურის გადახდის პირობები

1. სარეგისტრაციო დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე, მსმენელსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება შესაბამისი სასერტიფიკატო კურსის ხანგრძლივობის ვადით. სწავლების საფასურის გადახდის გრაფიკი განისაზღვრება ხელშეკრულებით.
2. დადგენილ ვადებში და პირობებით სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში მსმენელი არ დაიშვება სასწავლო კურსზე.

მუხლი 4. „ჩემი UG“

1. „ჩემი UG“ წარმოადგენს ელექტრონულ სამომხმარებლო სივრცეს; მსმენელს გადაეცემა მომხმარებლის კოდი და პაროლი. „ჩემი UG“ იძლევა სასწავლო პროცესთან (სასერტიფიკატო კურსი, ცნობა, შეფასებები, განრიგი, ღონისძიებები და სხვა) დაკავშირებულ ინფორმაციას.

მუხლი 5. სტუდენტის პერსონალური მონაცემები

1. მსმენელი ვალდებულია საკონტაქტო მონაცემების (მისამართი, ტელეფონის ნომერი)

სასერთიფიკატო კურსზე სწავლების დებულება

დამტკიცებული რექტორის საბჭოს 2023 წლის 17 ივლისის N 24/23 ოქმით

შეცვლის შემთხვევაში ერთი კვირის ვადაში დააფიქსიროს ცვლილება „ჩემი UG“-ის მეშვეობით. მონაცემებს ცვლის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური. მსმენელის მიერ მონაცემების წარმოდგენლობის გამო დამდგარ შედეგზე უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას.

2. მსმენელის შესახებ პერსონალური მონაცემების მესამე პირებზე გაცემა დაიშვება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. ინფორმაციის მართვა

1. მსმენელის ინფორმირება ხდება ელექტრონული ფორმით „ჩემი UG“-ის მეშვეობით. მსმენელი ვალდებულია დროულად გაეცნოს ადმინისტრაციის შეტყობინებებს; წინააღმდეგ შემთხვევაში, უნივერსიტეტი იხსნის პასუხისმგებლობას დამდგარ შედეგზე.

2. მსმენელის ყველა განცხადება მიიღება ელექტრონული ფორმით „ჩემი UG“-ის მეშვეობით. ინფორმაცია განცხადების სტატუსის შესახებ ხელმისაწვდომია განმცხადებლისთვის.

მუხლი 7. სასერთიფიკატო კურსზე რეგისტრაცია

1. სასერთიფიკატო კურსზე რეგისტრაცია გულისხმობს დადგენილ ვადებში და პირობებით დოკუმენტაციის წარმოდგენას, საფასურის გადახდას, ხელშეკრულების გაფორმებას და შესაბამის სასერთიფიკატო კურსზე დარეგისტრირებას.

2. სასერთიფიკატო კურსზე დარეგისტრირებული მსმენელების პირადი საქმეების წარმოებას ახორციელებს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური.

მუხლი 8. სასერთიფიკატო კურსის განრიგი

1. უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სასერთიფიკატო კურსის განრიგი დგინდება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მიერ; უნივერსიტეტის თანაორგანიზებით განხორციელებულ სასერთიფიკატო კურსის განრიგი დგინდება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურის მიერ ორგანიზატორთან შეთანხმებით.

2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიმდინარე სასწავლო პროცესიდან გამომდინარე, შეიტანოს ცვლილებები სასერთიფიკატო კურსის ჩატარების წესებსა და საორგანიზაციო პროცედურებში.

3. სასერთიფიკატო კურსის დადგენილი განრიგის/განრიგში ცვლილების შესახებ ინფორმაცია მსმენელს მიეწოდება „ჩემი UG“-ის მეშვეობით.

მუხლი 9. სასერთიფიკატო კურსთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები

1. სასერთიფიკატო კურსის დაწყებამდე კურსის ლექტორებთან შრომითი/მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებას უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის მართვის/იურიდიული სამსახური.

სასერტიფიკატო კურსზე სწავლების დებულება

დამტკიცებული რექტორის საბჭოს 2023 წლის 17 ივლისის N 24/23 ოქმით

2. სასერტიფიკატო კურსის დაწყებამდე სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახურს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია კურსის ლექტორების, მათი საათობრივი ანაზღაურების შესახებ.
3. სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური კურსის ლექტორთა საათობრივი დატვირთვის შესახებ ინფორმაციას აწვდის ფინანსურ სამსახურს: მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსის შემთხვევაში, მისი დასრულებისთანავე არაუგვიანეს 1 კვირისა; გრძელვადიანი სასერტიფიკატო კურსის შემთხვევაში, ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის არაუგვიანეს 10 რიცხვისა.
4. სასერტიფიკატო კურსზე რეგისტრირებულ მსმენელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ეგზემპლარი ინახება მსმენელთა პირად საქმეში.
5. სასერტიფიკატო კურსის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური სასერტიფიკატო კურსზე რეგისტრირებული მსმენელების დარიცხვების შესახებ ინფორმაციას აწვდის ფინანსურ სამსახურს.

მუხლი 10. სასერტიფიკატო კურსის მსმენელის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

1. მსმენელის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში კურსის საფასური დაბრუნებას ექვემდებარება შემდეგი წესით და პირობებით:
 - 1.1. თუ მსმენელმა ხელშეკრულება შეწყვიტა სასერტიფიკატო კურსის დაწყებამდე, მას დაუბრუნდება კურსის საფასურის 75%;
 - 1.2. თუ მსმენელმა ხელშეკრულება შეწყვიტა სასერტიფიკატო კურსის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში, მას დაუბრუნდება კურსის საფასურის 50%;
 - 1.3. თუ მსმენელმა ხელშეკრულება შეწყვიტა სასერტიფიკატო კურსის დაწყებიდან 4 კვირის განმავლობაში, მას დაუბრუნდება კურსის საფასურის 25%;
 - 1.4. თუ მსმენელმა ხელშეკრულება შეწყვიტა სასერტიფიკატო კურსის დაწყებიდან 4 კვირის შემდეგ, მას კურსის საფასური არ უბრუნდება.
2. 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული რეგულაციისაგან განსხვავებული პირობ(ებ)ი შესაძლოა დადგინდეს უნივერსიტეტსა და მსმენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

მუხლი 11. სასერტიფიკატო კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი)

1. სასერტიფიკატო კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მსმენელზე გაცემა სასერტიფიკატო კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი).
2. სერტიფიკატის გაცემის წინაპირობები დგინდება მსმენელსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.